აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №5

28/08/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;
ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;
მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;
ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;
ციალა შავაძე - უსკოს წევრი;
ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;
ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი - პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;
დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მიულოცა პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნულ უსკოს წევრებს: ემზარ თოდუას, ავთანდილ იაკობიძეს, სულხან ტაკიძეს, დავით ქარცივაძეს და ივანე ფირცხალაიშვილს უსკოს წევრად დანიშვნა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში პარტიების მიერ უსკოს დროებით წევრებს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილებაც უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში. პარმენ ჯალაღონიამ კომისიას გააცნო პ/გ „ევროპელი სოციალისტები“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ემზარ თოდუა (უსკოში რეგისტრაციის №01-26/27 თარიღი 28/08/2024 წელი), პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი ავთანდილ იაკობიძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/28 თარიღი 28/08/2024 წელი), პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი სულხან ტაკიძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/29 თარიღი 28/08/2024 წელი), პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, დავით ქარცივაძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/32 თარიღი 28/08/2024 წელი) და პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ მიერ დანიშნული უსკოს წევრი ივანე ფირცხალაიშვილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/36 თარიღი 28/08/2024 წელი) რის შემდეგაც, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
რიგითი ნომრის მინიჭების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
რიგითი ნომრის მინიჭების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ.

1. დადგენილება
რიგითი ნომრის მინიჭების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, უსკო დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის მინიჭების დამატებით წესს. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან, 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ერთდროულად იმართება ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის, საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო

კამპანიის ჩატარების, კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შეჯამების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი. საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი, ხოლო იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრის მინიჭების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გაიმართება წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

ვინაიდან 2024 წლის 26 ოქტომბერს ერთდროულად გაიმართება საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი და ვადები.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 38[1] მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი.

მუხლი 2.

იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უმაღლესი საარჩევნო კომისიაში იმართება წილისყრა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 38[1] მუხლით დადგენილი წესით, თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 3.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს რიგით ნომერს წილისყრით ანიჭებს უმაღლესი საარჩევნო კომისია. წილისყრისას ნომრების რაოდენობა შეესაბამება წილისყრაში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობას. წილისყრაში არ მიიღებენ მონაწილეობას ის რიგითი ნომრები, რომლებიც მინიჭებულია საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის.

მუხლი 4.

რიგითი ნომრები იწყება, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადი რიცხვიდან. თუ წილისყრაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტი წილისყრა აღარ იმართება და რიგითი ნომერი ენიჭება ავტომატურად.

მუხლი 5.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურები ტარდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის შენობაში, საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შემდგომ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისა (პირველი სექტემბერი).

მუხლი 6.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7.
ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ამ განკარგულების პროექტით გაწერილია ყველა ვადა და პროცედურა არჩევნების გამოცხადებიდან მის დასრულებამდე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან გვაქვს წარმოდგენილი წერილი, რომელმაც გვაცნობა თუ რომელი დაწესებულებებია უფლებამოსილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ჩაატაროს ნარკოლოგიური შემოწმება, რის შემდეგაც კომისიას გააცნო დაწესებულებები: - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტი და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

კომისიამ კენჭისყრის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიანიჭა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტს და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[11]“ ქვეპუნქტის, 39-ე, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 20/08/2024 წლის №05/7171 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს:

ა) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს, მისამართი: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქუჩა №102;

ბ) შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ მისამართი: ქ. ბათუმი, ნ. ჯაყელის ქუჩა №44.

2. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილ პარტიულ სიას, უნდა ერთოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვთ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ დაწესებულებაში.

4. დაევალოთ:

ა) საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილებას (გ. რიჟვაძეს) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისათვის გაცნობა;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**